„ვამტკიცებ"
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. გვეტაძე

«11» 10 2023 წ.

საქართველოს ჩემპიონატი U2000, U1600, U1200 რეიტინგ კატეგორიებში

15 - 22 ნოემბერი, 2023 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორი:**
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. **ღონისძიების მართვა:**
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
3. **ჩატარების ვადები და ადგილი:**
   15.11-22.11. 2023 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას ქ. 29.
4. **ტურნირები და მონაწილენი:**
   ა) U2000 ღია ტურნირში დაიშვებიან მოჭადრაკეები ფიდეს სტანდარტული რეიტინგით 2000 და ნაკლები.
   ბ) U1600 ღია ტურნირში დაიშვებიან მოჭადრაკეები ფიდეს სტანდარტული რეიტინგით 1600 და ნაკლები.
   გ) U1200 ღია ტურნირში დაიშვებიან მოჭადრაკეები ფიდეს სტანდარტული რეიტინგით 1200 და ნაკლები.
   დ) სამივე ტურნირში ასევე მონაწილეობის უფლება აქვთ ურეიტინგო მოჭადრაკეებს.
   ე) ტურნირში დაიშვება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ყველა მსურველი.
   სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
5. **სისტემა და კვალიფიკაცია:**
   - ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად.
   - გარკვეულ შემთხვევებში, ტურნირის ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს ტურნირის ჩატარების სისტემა და განრიგი.
   - ტურნირში დაითვლება ფიდეს რეიტინგი.
   - ჩემპიონატში შესაძლებელია სპორტული თანრიგის შესრულება.
6. **დროის კონტროლი:**
   ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 60 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.
7. **რეგისტრაცია და საწევრო შესატანი:**
   7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/gVKiWcmqeuDgMxK49 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 13 ნოემბერი 18:00 საათი.
   ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
   7.2. თითოეული მონაწილის საწევრო შესატანია 25 ლარი.
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
   სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701. ბანკის კოდი BAGAGE22
   7.3. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (13 ნოემბრის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.
   7.4. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 50 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
   7.5. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

8. **თაი – ბრეიქი:**

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. **ტურნირის განრიგი:**

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	15 ნოემბერი	
I ტურის კენჭისყრა	16 ნოემბერი	12:00
გახსნა		14:45
I ტური		15:00
II ტური	17 ნოემბერი	11:00
III ტური		15:00
IV ტური	18 ნოემბერი	15:00
V ტური	19 ნოემბერი	15:00
VI ტური	20 ნოემბერი	11:00
VII ტური		15:00
VIII ტური	21 ნოემბერი	15:00
IX ტური	22 ნოემბერი	15:00
დახურვა	22 ნოემბერი	18:00

10. **პრიზები: საპრიზო ფონდია - 3 000 ლარი.**

ადგ	U2000	U1600	U1200
1	500	500	500
2	300	300	300
3	200	200	200

- თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.
- ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.

11. **გამარჯვებულები:**

- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები მოიპოვებენ საქართველოს ჩემპიონის ტიტულს შესაბამის რეიტინგ კატეგორიაში და დაჯილდოვდებიან თასებით.
- 1–3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზებით.

12. **საერთო წესები:**

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

13. **სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა.

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი.